ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დღემატების № 354. ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი 1905 წ. ბაზეთის № 2925

ამოვიკვნესე...

ზღვა ჰღელავდა, ბობოქრობდა, ზვირთი ზვირთს აწყდებოდა, ნაპირს ხეტტდა, ათახსირებდა; წინა ღამით დამსხვრეულ გემის არაროობად ქცეულ ნაწილებს მქირდავის სიმაყეთ აქანებდა იქით-აქეთ, კვლავ უბირებდა ჩაორეულს, შთანთქმას. ვიდექ შორი-ახლო და შეეყურებდი განრისხებულ წყალს. გულში შავ ფიქრთა მთანი აღმემართნენ თავისის ხეეხუვებითა და წყვდიად უფსკრულებით... ცოცხალი არსი არა სჩანდა, მხოლოდ დამხრჩვალთა გვამები ეყარა აქა-იქ.

ზღვა ჰღელავდა, უფრო და უფრო მოიწევდა ჩემკენ.

უცბათ რაღაცა აზრამა გამიელვა თავში და გველ-ნაკბენივით შემომტრიალა.

„ის საღლა უნდა იყოს!"—გავიფიქრე და საჩქაროდ გავსწიე მეთევზის ქოხისაკენ. იქ არ იყო... რეტ-დასხმული გამოგბრუნდი... ბნელოდა. ფეხის ხმა შემომესმა. გულმა იფეთქა, მეგონა ის იყო. მოვტყუვდი: იმის ამხანაგები იყვნენ. მითხრეს არ გვინახავსო...

ჩემ ფიქრთა მთა ცეცხლ-მეშინავად გადაიქცა... ლეშტერმა დაჰფარა ჩემი არსება...

წინ მიდიოდი ეაზო-უკვლოდ, ვეძებდი და ნამდვილადკი არ ვიცოდი **ამისა** ბინა... დაქანცული დავბრუნდი შინ და მკვდარივით მივეგდე... ჩემს ყურებში საზარლათ გაისმოდა ზღვის ბრალხანე გუგუნი...

გათენდა. მე კვლავ ქუჩაზე ვიყავი. ზღვა ისე დაწყნარებულიყო, თითქო თავის დღეში ფრთა არ შეურხეიაო. გულმა საკვდავად შემომკენესა. თვალწინ საშინელი სურათი წარმომიდგა... ფიქრთა მორეკვნი შეეტოპე, გონება ავლაგმე, გრძნობას გავყეე, ციაგი გავიიკვანე...

და გადმოვხედე ქვეყანას.

ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც წინა დღით... ხალხი ირეოდა, მოძრაობდა ეტლები, ტრამვაი, დუქნები ღია იყო, ქუჩას ჩვეულებრივი ელფერი ედო; მზეც ისევ ისე ანათებდა, როგორც წინა დღით...

იმედი მომეკა.

თუ ის მკვდარი ყოფილიყო, ქვეყნის კაბადონს ჩვეულებრივი სახე დაეკარგებოდა... განა მზე არ დაბნელდებოდა, მთელი სამყარო **არ** დაიმსხვრეოდა, მტვრად ირ იქცეოდა, არ გაჰქრებოდა?.. კვლავ დავინახე დამხრჩვალთა გვამები... გული ბოღმით გაითანგა. ამოვიმნიე...

და თავგანწირვით გავწევ იმ კუთხისაკენ, იმ საითაც იმის სამყოფი მეგულებოდა. მიმსწავლეს... ვიდაც ქალი შემომხედა...

ღონე მოვიკრიბე და... გამოვსთქვი **ამა'ა** სახელი... ვიკითხე...

— დამშვიდდით, ბატონო ჩემო, გარწმუნებთ, რომ კარგად არის, მე თითონ ვნახე დღეს,—მომიგო ქალმა და შემომხედა... ცრემლები ვეღარ შეეკავე...

მზე ცხოელად ანათებდა, ბუნება კეკლუცობდა, ცხოვრებაც თავისებურად ცელქობდა...

გვამები ისევ უპატრონოდ ეყარა ნაპირზე.

გულს კაეშანთა ტვირთი მომაწვა... ამოვიკვნესე...

განდეგილი.

ყვავილი

ა. ამპარონიანისა

(სომხურიდან თარგმნილი)

მთის მწვერვალზე, ერთ მიუდგომელ კლდეზე დაკიდებული, ბრწყინავდა მხურვალე ყვავილი, გადაშლილი და სუნნელოვანი. მზის სხივებზე ეს ყვავილი მშვენიერი და მომხიბლავი რამ იყო.

ქალწულმა ქვევიდან დაინახა ის ყვავილი, გადაშლილი და სუნნელოვანი, და სინათლისაკენ მფრინავ ჰეპელასავით მიაშურა მთას, სადაც ბრწყინავდა მხურვალე ყვავილი, მშვენიერი და მომხიბლავი.

ასასვლელი ძნელი და ქვიანი იყო, გზა დაუსრულებელი; მაგრამ ქალწულის სული ყვავილსავით გადაშლილი და სუნნელოვანი იყო, მას მშვენიერება სწყურიოდა და ქალწული მიდიოდა მთისკენ, სადაც ბრწყინავდა მხურვალე ყვავილი, მშვენიერი და სუნნელოვანი.

მზე ზვიდან სუსხავდა, გაჭარხლებულ ლოყებიდან ხვიოქი წურწურით ჩამოსდიოდა და მკერდზედ ეცემოდა, ქვები ნაზ ფეხებს უღრღნიდა და უსისხლიანებდა, მაგრამ იგი მაინც ადიოდა მთაზე, სადაც ბრწყინავდა მხურვალე ყვავილი, მშვენიერი და სუნნელოვანი.

ხელებ დასისხლიანებულმა, ფეხებ დაკოდილმა მიაღწია ყვავილამდე, ჩამოეკიდა კლდიდან ქვევით და მთრთოლავი მკლავი მხურვალე ყვავილისკენ გაიწოდა, მოსწყვიტა და მხიარულად გიაკეთა თავის მდიდარ მკერდზე ის მხურვალე ყვავილი, მშვენიერი და სუნნელოვანი.

ქალწული კლდის მწვერვალზე იდგა, მკერდი ყვავილით ჰქონდა შემკული და გამარჯვებული ამაყად დაჰყურებდა ქვეყანას, სადაც ყველაფერი მკრთალი, საბრალო და უბედური იყო. ქალწულს ჰქონდა მხურვალე ყვავილი, მშვენიერი და სუნნელოვანი.

და უცებ ქარმა დაუბერა, ყვავილს ფოთლები დააყრევინა და სივრცეში გაჰფანტა. ქალწულმა მკერდიდან ამოიღო გამხმარი და უშნო ღერო ყვავილისა, დაიკერდა და ტირილი დიწყო. იმისი ტირილი ქვეყანას მოედო. ის ეხლა ისეთივე მკრთალი, საბრალო და უბედური იყო, როგორც ქვეყანა... ადარ იყო მხურვალე ყვავილი, მშვენიერი და სუნნელოვანი.

უკან დაბრუნდა ნატკენის გულით და დედის მკერდი ცრემლით დაალბო.

— ნუ სტირი, შვილო,—მიუგო დედამ,—ცრემლი ამაოა; რამდენადაც ყვავილი მხურვალეა, იმდენად ხან მოკლეა მისი სიცოცხლე, რამდენადაც ბრწყინვალეა იმედი, იმდენად იგი ადრეულია: ცხოვრება ნათელის წუთებისა და შავის დღეების ერთი ჯაჭვია, რომელიც ხელში უნდა გვეჭიროს და ვწოოთ. უყურე, ჩემ შუბლის ნოკებს!..

— დედა! დედა! მიყურე, ხელები დასისხლიანებული და ფეხები დაკოდილი მაქვს... ის ყვავილი-კი მშვენიერი იყო...

— ერთის წუთით დამტკბარხარ, შვილო...

ჯ. კ—სა

დედა

(ვუძღვნი „ჩემ ძმას“ სამსონ „ანთაძეს“)

რისთვის, „რისთვის მოხდა“ „ეს, შვილო „ჩემო, რომ მე, მოხუცი დედა შენი, რომელიც მთელ ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი და იმით ვსულდგმულობდი, რომ შენ, ჩემი ერთად-ერთი შვილი, ჩემი ნუგეში, სიკვდილის დროს გვერდით მეყოლები, შენი ცქერით დამტკბარ მოქანცულ თვალებს დამიხუჭავ, გულს-ხელს დამიკრავ და მიწას მიმაბარებ და ეხლა კი, როცა ვგრძნობ სიკვდილის მოახლოებებას, შენ ჩემთან არა ხარ?.. რისთვის მოხდა, რისთვის, რომ მე ამ წლინახევრის განმავლობაში ვკვნესებდ და ვფრთხი; ჩემ მოხუცებულ გულს სტანჯავს ის აზრი, რომ, მე, უძლური დედა შენი, შეიძლება დავრჩე ცოცხალი და შენ, ძალლონიერ სავსე ვეკაცი კი... მაგრამ ღმა არ მეშორჩილება გამოვსთქვა ის საშინელი სიტყვა, რომელიც გახურებულ შანთივით დაერტყო ჩემ საცოდავ ტვინს და ტრიალებს, ტრიალებს განუწყვეტლად და სწვავს მთელ ჩემ არსებას...

რომ იცოდე, რა სევდიანის გულით სწერს ამ წერილს უბედური დედა-შენი; რომ იცოდე, როგორ მწვავედ გრძნობს შენს წინაშე თავის დანაშაულს... მაგრამ გვიანდა არის!.. არაფერი არ არის, შვილო, იმაზე ძნელი, იმაზე უფრო სატანჯველი, როცა სიკვდილის პირად მიხრილი მოხუცი ადამიანი გრძნობს თავის უსარგებლოდ და მავნედ გატარებულ ცხოვრებას, როცა უკან დაბრუნება და შეცდომის გასწორება შეუძლებელია და, აი, სწორედ დღეს დილით მიეხვი ამას, მხოლოდ დღეს გახდა ჩემთვის ცხადი, დღეს, როცა ვიგრძენ სიკვდილის „ქმის „მოახლოვება, როცა სიკვდილი მიწვევს თავისკენ... მხოლოდ „დღეს გახდა ჩემთვის ცხადი, რომ მე, დედაშენმა, რომელსაც შენ სიცოცხლესა და სიკეთეზე მეტი არა მინდოდა-რა“ ამ ქვეყნად, მე თითონ ჩაგაყენე ამისთანა მდგომარეობაში, თითქოს განგებ ამისათვის მოგანიეე სიცოცხლე, ამისათვის გზარდე... ოჰ, რა გვიან მივხვდი, შვილო, რა გვიან!.. რომ შეიძლებოდეს... მაგრამ რას ვამბობ, განა შეიძლება ცხოვრების თავიდან დაწყება, როცა ცხოვრება გათავდა? განა შეიძლება ორჯერ ცხოვრება ამ ქვეყნად?.. ერთი კი ვერ მოვიხმარე, უმეცრების ტყეში შეეტოპე, უგზო-უკვლოდ დავიბენი და როცა გზა დავინახე, მაშინ გათავდა კიდევაც ეს მგზავრობა-სიცოცხლე, და გათავდა ისე, რომ შენც ამ უდაბურ ტყეში დაგტოვე.

ნუცა ამბობს, რომ ამის შეგნებაც დიდი ღვთის წყალობაა ჩემთვის, ის ყოველივის ფიქრობდა რომ დადამინმა, ადრე თუ გვიან, ცხოვრების გამოცვლამდის (სიკვდილს ნუცა ცხოვრების გამოცვლას ეძახის) „უსათოოდ უნდა გაიგოს ნამდვილი აზრი ამ ქვეყნიერ არსებობისა და დაინახოს ჭეშმარიტი გზა. უხარია კიდევაც ჩემს მაგივრად, რომ მე, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მივახწიე ამას. არ ვიცი, იქნება ნუცა მართალიც იყოს, მაგრამ ჩემი შეცდომა ხომ შეცდომად დარჩება, რომელმაც საშინელი ნაყოფი—ტანჯვა-ტკივილი, სინდისის ქენჯნა გამოიღო...

რა ძნელია: ცხოვრობ, ცხოვრობ ბედნიერებისათვის, გგონია, აკეთებ, ზრდი შენ ბედნიერებას და, როცა დასასრულებ მუშაობას, აღმოჩნდება, რომ საკუთარის ხელით საკუთარი უბედურება გასჭედე! შენის აღზრდით მეგონა, ჩემს, არა, ჩვენ ორივეს ბედნიერებას ვსჭედდი და ახლა კი გამოდგა, რომ უბედურება გავსჭედეროგორ გავასწორო ეს? ხომ არასოდეს აღარ გადაიქცევი იმ პაწაწკინა, შავ-თვალა ბიჭიკოთ! მახსოვს, თვალ-ცრემლიანი როგორ მეხვეოდი ყელზე და კოცნით მემუდარებოდი გულ-აჩჩვილებული:

„არ მინდა, დედილო, ქალაქში, არ მინდა, მე შენთან მინდა. მე შენ მიყვარხარ, ჩვენი ლურჯაც მიყვარს, ჩვენი ბროლია, ჩვენი ხარებიც... მე შენთან მინდა... ნუ, ნუ გამიშვებ“...

რომ იცოდე, ჩემო შვილო, როგორ ტიროდა მაშინ დედი შენის საბრალო გულიც, როგორ მინდოდა მეც, დარჩენილიყავ! ჩემის აზრით, შენი სურვილი საფუძვლიანი იყო. მაგრამ მე მაშინვე შემეშინდა და შეჭრაცვა ჩემის ფიქრებისა და გულს ვუბრძანებე გამაგრებულ გაკაკეტულიყო. გახსოვს, რა დინჯად გითხარი:

„აბა, როგორ არ გრაცხვენა პატარა გოგოსავით ტირილი? არ გინდა, ბრწყინვალე ავეცერი გამიზიდე, მშვენიერ ხმლით და დეზებით, ინ როგორც ბიძია პავლესა აქვს და როგორიც მამილოს სურს... თოფის სროლაც გეცოდინება“.

„არა, არა, არა დედილო, მე შენთან მინდა, შენთან... შენი კოცნა მინდა!..“—მეუბნებოდი შენ.

ოჰ, რომ შეიძლებოდეს ის დროს დაბრუნება! რა სიამოვნებით ჩაგიკრავდი გულში, ჩაგიძვრენდი სუფთა, დიამალავდი სადმე და არ გავატანდი შენ თავს მამაშენს, რომელიც ამ დროს ოდნავ მოუთმენლად გელოდებოდა ეიზკართან!

ეარს-ულიადან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ლამაზი იყო მაშინ მამაშენი: ახალგაზრდა, ვაჟკაცი, ამაყი ცოლით, შვილით და ოჯახით, ნამეტნავად შვილით, რომელიც მიჰყავდა სამხედრო სასწავლებელში, საიდანაც გამოვიდოდა ბრწყინვალე აფიცერი. ოჰ, რომ შეიძლებოდეს იმ დროს დაბრუნება, უსათუოდ, უსათუოდ მოვიკრებდი იმდენ ძალ-ღონეს, რომ დავარწმუნებდი მამაშენს, არ წავყვანე, გამოვსთხოვდი შენ თავს... მართალია, როგორც ჩემს პატრონს, ყველფერში ეემორჩილებოდი, იმის აზრით, იმის თავით, იმის ჯაუთი ვცხოვრობდი და არასოდეს აზოადაც არ მომსვლია ჩემის გონების ცხრილშიაც გამეტარებინა იმისი მოქმედება, ნამეტნავად ისეთ დიდ საქმეში, როგორიც ვაჟის აღზრდაა. წვრილმანი საქმეები ყოველთვის ჩემზე იყო მოგდებული, ამით კმაყოფილი ვიყავი, ხოლო ჩემის ქმრის საქმეში ჩარევა კი დიდ ცოდვად მიმაჩნდა... ჩემი ქმარი და იმისი ფიქრი, ჩემი ფიქრი და ჩემი კანონი იყო. მაფრამ იმის მეთვდიც კი რომ მცოდნოდა, რაც ახლა ვიცი, უსათუოდ, უსათუოდ ჩავერეოდი შენის სწავლის საქმეში...

რატომ არ ჩავერეე, რატომ?..

მაგრამ მაშინ მეც ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ჩემი ქალური გული თრთის, თორემ აფიცრობა კარგია და ისე მივეჩვიე ამ აზრს, რომ ბოლოს უზომო სიხარულით ვსებობდი ჩემი გული, როცა ზაფხულობით წითელ-პაგონებიანი ჩამოხვიდოდი სასწავლებლიდან.

ახლა რომ მაგონდება, მიკვირს, რატომ არ აგგლოჯვი ის საშინელი, სისხლის ფერი პაგონები. რომ სთქვას ვაკეა, თუმცა ბუნდოვანად, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რისთვის გამზადებდნენ. ვიცოდი, იმისთვის გზრდიდნენ, რომ, რაც შეიძლება უკეთ გაგიწვრთნა ადამიანები ადამიანების მოსაკლავად, რასაკვირველია, ჩვენს მტრებისა, თუმცა, სწორე გითხრა, სრულიად არ მესმოდა, მაგალითად, რა ნაირად უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი მტრები, თუ გინდა აი ის თათრები, ჩვენსა რომ სცხოვრობდნენ, ქერბალი და ოსმანა, აგურს რომ აკეთებდნენ. გახსოვს, რა ნაირად უყვარდი შენ და როგორ ფიცულობდნენ ჩვენ მზეს. მაგრამ მე მეგონა, რომ ყველ ეს, მხოლოდ ჩემთვის, როგორც ქალისთვის, არის მიუწდომელი, მამაშენისათვის კი ყველფერი დღესავით ნათელი იყო. ერთხელაც არ მიფიქრია იმაზე, რომ შეიძლება ოდესმე შენც ჩაგაყენონ საფრთხეში ამ ნაირად გაწვრთნილმა ადამიანებმა. სწორედ ვერ მივმხდარვარ და მიკვირს, მიკვირს, რატომ არა ვფიქრობდი იმაზე, რაზედაც ყველაზედ უწინარეს უნდა მეფიქრნა, რაც უფრო საჭირო და აუცილებელი იყო ამეწონ-დამეწონა. მით უფრო საკვირველია ეს, რომ ყოველთვის მხოლოდ შენ მომავალზე ვფიქრობდი. რა სიხარულით წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ გაიზრდები, როგორ გადაიქცევა ეს შენი პაწია, ბავშვის მხრები განიერ ვაჟ-კაცის მხრებად და, წითელი მაუდის პაგონების მაგიერ, როგორ დაიწყებს ზედ ლაპლაპს ოქროს სხივ-მფენი პაგონები; როგორ შუსცელის ბავშვის ნაზ სახის ვაჟკაცური, კეთილშობილური სახე და შავი მოელვარე თვალები ელვის უმალესად დაუბნევს ჯაუთს მშვენიერ ქალებს! მერე აარჩევ იმოვნი საცოლოდ ერთ, ყველაფრით სრულს, შენს მორჩილს და ჩემ პატივის მცემელ ქალს... რა საუცხოო შვილიშვილები მეყოლება... განა მიფიქრია იმაზე, რომ ოდესმე მომგლეჯენ შენ თავს და ცხრა მთას იქით სიკვდილის მოციქულად გაგზავნიან?!..

არასოდეს, არასოდეს და აი, ახლა ვიტანჯვი!..

ვიტანჯვი და ვლოცულობ, მაგრამ ლოცვა სრულიად არ მიმსუბუქებს სულიერ ტკივილს. ყოველ ლოცვის დროს, როცა შენ სიცოცხლეს ვევედრები ღმერთს, უცნაური აზრი მიტრიალებს თავში: რასა ვსთხოვ და ვისა ვსთხოვ? უგუნურება და შეურაცხყოფა მგონია ეს ლოცვა. ეს იმას ჰგავს, სახლს რომ ყოველის მხრთ ჯერ ცეცხლი წაუკიდო შენის ხელით დაწერეკი შვილს ეხვეწო ვისმეს. მე მთელი სიცოცხლე იმაზ მოვახმარე, რომ ცეცხლი წამეკიდებინა და ახლა გთხოვ ჩაანერეთ. თავს ვანებებ ლოცვას; ეფორო მეტ სევდას ვეძლევი. დაღონებული და მწარის სიცილით ვიმეორებ: „მე წავუკიდე ცეცხლი, მე,—მე...“

ხომ იცი, რომ ჩემი ერთად ერთი ფიქრი შენ ხარ, რომ ჩემი გონება დღისით. ღამით, დაძინებისას და გაღვიძებისას შენთან არის. და რა არის საკვირველი, თუ დღეს დილით თითონ შენც გნახე. ამბობენ, სიზმარიაო. მაგრამ ღმერთმა კი იცის, რომ ჩემთვის ცხადი იყო... აი როგორ მოხდა ეს: დილა ადრიანად გამომეღვიძა და მაშინვე მივიხედე პაწია მაგიდისაკენ, მინდოდა ამეღო დილის დებეშები, რომელსაც ყოველ დილით ჩუმად სდებს ხოლმე მელანო და რომელშიაც ომის ამბებს ვეკითხულობ. ყოველი დებეშა, ყოველი სიტყვა, ყოველი ასო შენის ცხოვრების მოწმენ მგონია და კითხვის დროს ისე ხტის, ღელავს და ბობოკრობს ჩემი მოხუცებული გული, თითქოს სასიკვდილო ასპარეზზე გამოსული ჯარი ჩემ გულში იბრძოდეს; და ჩემ დაქანცულ თვალებს თავის თავად სცვივი ტკვილასავით მძიმე ცრემლები... გავიხედე პაწია მაგიდისაკენ, მაგრამ ამ დროს, ღმერთო ჩემო, კარები გაიღო და შენ კი შემოხვედი, ჩემი შვილი, ჩემი საყვარელი, ჩენი სანატრელი! თვალებმა მომატყუეს, მეგონა, და უნებურად შეეკვეხარე სიხარულით შეშინებულმა:

— ღმერთო ჩემო! ვინა ხარ შენ?..

— ვეღარ მიცანი, დედილო, შენი ვახტანგი?

— აჰ, შვილო, ჩემო შვილო, ჩემო სიცოცხლეე, როგორ ვერ გიცანი, მაგრამ ვერ დავიჯერე ამისთანა ბედნიერება... როგორ, რანაირად, ცხრამთას იქიდან? ომიდან?.. მოდი, მოდი მოგეხვიო, ჩემო სიხარულო...

მაგრად ჩაგიკარ გულში და ვკოცნიდით ერთმანეთს. ვკოცნიდი შენს ვულს, სახეს: შენ პაწაწკინა ხალს მარცხენა



სტუსსდოშა.

ლოყაზე, შენ შუბლს სწორედ იმ ადგილას, გახსოვს, ბავშვობაში რომ გიჩეხეს; თანაც აღტაცებით ვიმეორებდი:

— ჩემო ნეტარებავ, ამისთანა ბედნიერება, ამისთანა სიხარული! როგორ გაახარე საბრალო დედა! როგორ გამოი-

ქეცი იმ საშინელ ჯოჯოხეთიდან... რა ამბავია... ასე მოულოდნელად...

„სიკვდილის წინ მოვიყვანე!..“

— აჰ, ვისი სიკვდილის წინ? — შეეყვირე მე და მივიხედე უკან, სიიდანაც შემომესმა ეს უწყალო, გაყინული ხმა .. იქ არავინ არ იდგა. ისევ შენკენ გამოვიხედე. აღარც შენ იყავი. ცოცხა ოფლმა დამასხა, კანკალი დამაწყებინა... ჩემო შვილო, სად იყავ ამ დროს... იქნება გიჭირდა, იქნება სწორედ ამ დროს... მაგრამ არა, არა, არ შემიძლიან გამოვსთქვა ეს საშინელი სიტყვა...

არ ვიცი, ამ დროს გამომელვიძა და ის, რაც გიამბე მხოლოდ მოჩვენება იყო, როგორც ექიმი ამბობს, თუ, როგორც მე ვფიქრობ, მართლა იყავი ჩემთან. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ გამოვიღვიძე სწორედ იმ დროს, როცა შენ კარები გაალე და ჩემ სანახავად მოხვედი სწორედ ჩემის სიკვდილის წინ. უფრო იმიტომ ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ჩემს უძლურ ფეხებს აღარ სურს დედამიწაზე სიარული და ლოგინში უძრავად ყოფნას რჩეობს. ამან გამახარა: მე მგონია ღმერთმა შემიწყალა, მიხსნა ტანჯვისაგან და ჩემი შეცდომა სამართლიანად მევე შემასყიდინა ამნაირის სიმწარით. ვხედავ, რომ ყოველი შესაფერი მოქმედება იწვევს შესაფერ შედეგს და მიხარიან, რომ ამ შედეგმა ჩემზე იჩინა თავი და არა შენზე. მიხარია, რომ შენ რჩები ჩემ შემდეგ და იქნება... მაგრამ ისევ, ისევ ეს საშინელი ფიქრი...

წელიწადზე მეტია დაჭიმული ძარღვები თითქმის დაწყვეტას ლამობენ. ვცხოვრობ რაღაც ბუნარნში და ვხედავ, თითქოს ჩემი ძვირფასი შვილის საყვარელი თავი ლომის დაღებულ ხახაში იყოს და ყოველ წუთს ველი სულ განაბული, ცახცახით, რომ იმის გაალმასებული კბილები აი ახლა, აი ახ: ლა მოსწყვეტს ჩემს სიცოცხლეს, ჩააბნელებს ჩემ თვალის სინათლეს და დავრჩები ცარიელი ფუტურო, უვარგისი, ფუტი სოკო... რა საშინელებაა!.. გულით მინდა გავქრე, გავქარწყლდე, წავიშალო ამ ქვეყნიდან... განა ეს ბუნებრივი შედეგი არ არის იმ უმეცრების და სიამაყის, რომელსაც ჩემი გალალებული გული გრძნობდა ამდენ ხანს?..

არ დაიჯერებ, როგორ ვამაყობდი შენით; როგორის ამპარტავნებით გავცქეროდი ჩემი ფანჯრიდან ჩვენ მეზობელ ალეკსა გნოლაძეს; რა ნაირად ვამცირებდი იმის დახეთქილ-დაკორძებულ ხელებს, გარუჯულ სახეს, დაგლეჯილ ჩოხას!..

ის ხომ შენი კბილა არის; მაგრამ თითქოს ცხოვრების სიმძიმემ წელში გაღუნა, თითქოს გაჭყლიტა და დაბერა... განა შეიძლება იმისი და შენი შედარება? შენ ლეგენდამივით სწორი, მაღალი, ლამაზი, მხიარული... რა სიხარულს ვგრძნობდი, როცა ალეკსას დედა, მოხუცი დარეჯან შემომნატრიდა. ეს ისე სამართლიანი გრძნობა მეგონა: მე ხომ მშვენიერი აფიცერი შვილი მყავდა და დარეჯანს კი ლატაკი მუშა... ახლა კი... ახლა კი მე შევცქერი დარეჯანს შურით და შევნატრი იმის ბედს.

ნინო ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)





ახალგაზრდა მასწავლებლები

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი